

ჩილები გორელაჟილი

მიორი კავშირის გილი ურთისა ურთობის ზოგი
საჭირო თანამედროვე ძარღულში

მეორე კავშირებითს ახალ ქართულში სამი სუფიქსი აწარმოებს:
-ა (ნოველ-ა, გაცტრ-ა...), -ე (გაფიბ-ე, ლაგბერდ-ე...) და -ო (გავაყე-
თ-ო, დაეხატ-ო...). ერთი ნაკვეთის მაწარმოებელ სუფიქსთა სიმრავლე
სამეცნიერო ლიტერატურაში მეორეულ ფართად მიიჩნევა. გაზიარე-
ბულია თეალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მეორე კავშირებითის ძი-
რითადი, პირვანდელი ფორმანტი -ე სუფიქსია.

მეორე კავშირებითის უკველეს, პირვანდელ მაწარმოებლად -ი
სუფიქსის მიხნევა შესაბამისად სეამს საყიონს -ა და -ო სუფიქსთა
მეორეულობის, გვიანდელობის შესახებ. თუმცა სამეცნიერო ლიტე-
რატურაში გარკვევით არაფერია თქმული -ა და -ე ფორმანტთა ურ-
თიერთმიმართების არაბაზე, კერძოდ, -ა სუფიქსი -ეს ფორმეტიკური
ვარიანტია თუ თავისთავადი, დამოუკიდებული აფიქსი, ისტორიულად
სხვა დანიშნულებისა, რომელმაც შემდგომ შეიძინა კავშირებითობის
ფუნქცია.

რაც შეეხება II კავშირებითის -ო სუფიქსს, მკელევართა უმეტე-
სობა მას ფორმეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილად მიიჩნევს. აზრთა
სხვადასხვაობას იწვევს ის, თუ როგორაა გააზრებული ამ სუფიქსის
მიღების გზა. ნ. ნარის აზრით, -ო სუფიქსი უუძისეულ ვ-სთან კავში-
რებითის -ა სუფიქსის შერწყმის შედეგადაა მიღებული². ამ მოსაზ-

1 არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში
დასმული მორიცოლოგიური ობიექტი ძელ ქართულში? ტფილისის უნივერსიტე-
ტის მთამბე, ტ. 9, ტფილისი, 1929, გვ. 116—117; გ. თოლური ი., სვანური ენა,
I, ზმა (II გამოცემა): შრომები, ტ. I, თბილისი, 1967, გვ. 167; არნ. ჩიქობა-
ვა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 139; ნ. კორინთი
კილის კატეგორია ქართულ ენაში: თელის პედისტიტეტის შრომები, III, თბ.,
1959, გვ. 388—389...

2 Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, М.-
Л. 1925, ვ. 161.

რებას იზიარებს გ. დეეტერსიც³. სხვა თვალსაზრისის მიხედვით, -ო-სუფიქსიანი II კავშირებითის პირვენდელი მაწარმოებელი უნდა ყოფილყო -ე სუფიქსი. მისი შერწყმით ფუძისეულ ვ-სთან მივიღეთ -ო⁴. არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც კავშირებითის -ო უკვე ძველსიც ქართულში თვითითავადი, დამოუკიდებელი მაწარმოებელია და არა კონტლექსის შერწყმის შედეგი, თუმცა უფრო აღრიცხულ საფეხურზე ამგვარი პროცესის შესაძლებლობაც არ არის გამორიცხული.

ამვერად, სამეცნიერო ლიტერატურაში II კავშირებითის მაწარმოებულთა პირვენდელი სახისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ არა აშროთ ერთვარობა, ფაქტი კი ერთია: თანამედროვე ქართულში -ა, -ე, -ო სუფიქსები დამოუკიდებელი მორფოლოგიური ოდენობებია და „სინონიმურ“ აფიქსებიდან წარმოვადგება.

მეორე კავშირებითის მაწარმოებულთა განაშილება არცოდ მარტივ სურათს წნის. ჩვეულებრივ, მოუთითებენ, რომ მეორე კავშირებითი იწარმოება ნამყო ძირითადის ფუძისაგან და -ა, -ე, -ო სუფიქსთა განვლენა დამოუკიდებულია ნამყო ძირითადის წარმოების ტიპზე; სხვაგვარად, ნამყო ძირითადის წარმოება განსაზღვრის II კავშირებითის წარმოებას. არნ. ჩიქობაგა აღნიშვნას: „ქართულში ამ დროის საწარმოებლიდ სამი სუფიქსი იხმარება: -ე (დ-თი ნაწარმოებ ვნებითებთან მეტწილად და ზოგ სხვა გარდაუცალ ზმნებთან), -ა და -ო გარდამავალ ზმნებთან და ი-თ და ე-თი ნაწარმოებ ვნებითებთან; ორისტრი თუ -ი ანდა ნოლი გვაქვს მაწარმოებლიდ, აქ -ა ვვექნება (დავკარ — დაგვრა, ვთქვა — ვთქვა, დავბი — დავბი), თუ ორისტრში -ე არის, ექ -ო იქნება მაწარმოებელი სუფიქსი (ვავაჭო — ვავაჭო, ვწერა — ვწერო, ვჩონე — ვზომო)“⁵.

როგორც ვხედავთ, წარმოების თვალსაზრისით შედარებით მარტივი ვთქარება -ო-სუფიქსიან მეორე კავშირებითში ვვაქვს: თუ ნამყო ძირითადის მაწარმოებელი არის -ე სუფიქსი, II კავშირებითში -ო სუფიქსი გვექნება.

³ G. Deeters, Das karthvelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 156.

⁴ გ. როგავა, ორისტრისა და კავშირებითი II-ის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ია სუფიქსთან დაკაშირებით ქართულსა და მეგრულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მომბეჭ, ტ. VI, № 8, 1945, გვ. 652.

⁵ ბ. გიგინე იშვილი, ჟ. სარგენტაძე, [ვა], [უა], [უბ] და [ო] სეგმენტია ურთიერთმიმართებისათვის ძეველ ქართულში: მრავალთავი, III, თბ., 1973.

⁶ არნ. ჩიქობავა, ვანურის გრამატიკული ინალიზი, გვ. 142.

შენიშვნა: ნამყო ძირითადისა და II კავშირებითის ფორმათა ამ-
გვარი ურთიერთშიმიტართების შესახებ ქართული ენის პრაქტიკულ გრა-
მატიკებშიც არის მინიშვნებები. ანტონ პირეველი ნამყო ძირითადის
-ი და II კავშირებითის -ო სუფიქსების მიმართებას ზრნათა ერთ-ერთ
საკლასიფიკაციო ნიშნად გამოყენებს და გამოყოფილ ჯგუფებს ამ
ნიშნის მიხედვით ახასიათებს: „ეს სრულსა შინა განიკიდურებს ე. მა-
გალითებრ: განვჩხანე და შეობადა შინა ო. მაგალითებრ: გან-
ვცხანო“⁷. ამ ტანის ყველა ზმნა ამგერადა დახსნიათებული. საერ-
თოდ, ანტონ პირეველი ზრნათა ჯგუფების გამოყოფისას ნამყო ძირი-
თადისა და II კავშირებითის ფორმათა ჩვენებს, მათ ურთიერთში-
მართებას განსაკუთრებულ ყურადღებს აქცევს. გაიოზ რექტორი
ზრნათა უღველილების ჯგუფების დახსნიათებას სისტემატიურად ამ ნიშ-
ნის მიხედვით ახდენს („ნამყო სრულსა დროსა პირტოლსა და მეო-
რესა პირსა შინა განიკიდურებენ ე და შეობადსა შინა ო“) და ცალ-
კეულ შემთხვევებში ჩამოთვლის იმ ზმნებს, რომლებიც ამ წესს არ
ემორჩილება („რომელნიცა სხტაობენ სრულსა და შეობადსა დრო-
სა შინა“)⁸.

შესაბამისობა — ნამყო ძირითადის -ე: II კავშირებითის -ო —
უგამონაკლისო ჩანს. ექნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული წესი
პირუკუ არ მოქმედებს. ახალ ქართულში დასტურდება ისეთი შემ-
თხვევები, როცა II კავშირებითი -ო სუფიქსით არის ნაწარმოები,
შესაბამისი ნამყო ძირითადი -ო-ელემენტიანია: მივაგენი — მივაგნო,
შევიცყარი — შევიცყრო, ვიყავი — ვიყო... ვევექს პარალელური წარ-
მოების შემთხვევებიც: დარგას||დარგოს, მომკას||მომკოს. ნიმუშად
შეიძლება რამდენიმე მაგალითის დამოწმება სამწერლობო ენიდან:

შერე ეს შევყანა და გიბურთოთ (ო. ვოგ).

რომ საქართველომ მტრიცედ დაიპურას ქრისტეს მოძღვრება (ფაფი).

ყველამ მი უზღოს სათვისო, შესაფერისი (ო. ჩის).

ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანარეგი (ილია).

იქნება მოგვითხროთ, როგორ იპოვეთ საკუთარი სტილი თარგმანში
(ო. ჩიხენე).

ვინ მოგვითხროს მათი საქმე უფალევი, საგმირონი (აკაკი).

მაშ ამ დილით ვიჩდი დავრგო (ო. მამუკა).

ჩარილისათვის დავრგოთ რამოდენიმე ხე (ზ. ნოზ).

დათხესვის შემდეგ ნიადაგი უფოთხში კარგად უნდა მოირწყოს (ნ. ჩახნ).

ნაკეთო უნდა მოირწყოს საჭიროების მიხედვით (ზ. ნოზ).

მეტი გზა არ არის, ცოლი უნდა შევრათ ათ (ილია).

7 ანტონ პირეველი, ქართული ლრამმატიკა, თბ., 1885, გვ. 24.

8 გაიოზ რექტორი, ქართული ლრამმატიკა, თბ., 1970, გვ. 72—95.

მსეთი ქალი შევრთო... (ილია).

ეს არ მომავარ წრინ ნ. ზოუკ.).

უა, ხეტავი კი იმ ბეღძიერ დღეს შევესწრია (ილია) და სხვ.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ -ა- და -ო-სუფიქსიან პარალელურ ფორმათა ასებობა მეორე კავშირებითში ზემოთ წარმოდგენილ კანონშომიერებას არ არღვევს: ყველა შემთხვევაში პარალელური წარმოება დასტურდება ნამყო ძირითადშიც⁹. სხვაგვარად: პარალელური წარმოება II კავშირებითისა (როცა პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთი -ო-სუფიქსიანია) შეპირობებულია ნამყო ძირითადის პარალელური წარმოებით. -ო-სუფიქსიანი ფორმები II კავშირებითისა ნამყო ძირითადის -ე-სუფიქსიან ფორმათა შესაბამისია. ეს ფაქტია. მაგრამ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ სალიტერატურო ენის ნორმათა ოვალურზრისთვის პარალელურ ფორმათაგან რონელს მინიჭოს უპირატესობა.

გვიქრობთ, საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის ჩვენების (მხოლობით რიცხვში). მიუთითებენ, რომ „თუ პარისტში Տვ-დო არის წარმოდგენილი, II კავშირებითის ნიშანი თ იქნება“¹⁰. აქედან გამომდინარე, პარალელური წარმოება II კავშირებითისა მოსალოდნელია შხოლოდ მაშინ, თუ სუბიექტური მესამე პირის პარალელური ფორმები ასებობს (-ა- და -ო- სუფიქსიანი); იმისდა მიხედვით, მა უკანასკნელთაგან რომელს ენიჭება უპირატესობა, უნდა გადაწყვდნეს II კავშირებითის პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის უპირატესობის საკითხიც.

I. შევიპყარ||შევიპყრე, ვიგრძენ||ვიგრძნე, ვიცან||ვიცნე, მოვას-წარ||მოვასწრე, ჩავთალ||ჩავთლე და სხვა ამგვარ პარალელურ ფორმათა ასებობამ შეაპირობა პარალელიზმი სუბიექტური მესამე პირის ფორმებშიც: შეიპყრა||შეიპყრო, იცნა||იცნო, მოასწრა||მოასწრო, ჩაფლა||ჩაფლო... ერთი და იგივე ზმნა ორგვარი ყალიბითაა წარმოებული:

შევიპყარ-(ი)||შევიპყრ-ე

შეიპყარ-(ი)||შეიპყრ-ე

შეიპყრ-ა||შეიპყრ-ო

რამდენადც ამ ტიპის ზმნებში სუბიექტური მესამე პირის -ო-სუფიქსიანი ფორმებია ნორმატული (შეიპყრო, იცნდნო, იცნო, მო-

⁹ ნამყო ძირითადის პარალელურ ფორმათა შესახებ მსჯელობისათვის იხ. ჩვენი: სუბიექტური მესამე პირის -ო- სუფიქსის შესახებ თანამედროვე ქართულში— ქრ. „ქართული სიტუაციის კულტურის საკითხები“, IV, თბ., 1981.

¹⁰ ბ. გიგინე შვილი, ჟ. სარგენტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

ასწრო, ჩაფლო, გამოაკლო, დაამყნო...), -ა-სუფიქსიანი ვარიანტები იშვიათია, ან საერთოდ არ გვხვდება თანამედროვე ქართულში (იბყრა, იცნა, იგრძნა... ჩვეულებრივი იყო ძველი ქართულისათვის), მეორე კავშირებითის პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა უნდა მიენიჭოს -ო-სუფიქსიან ვარიანტებს (შეიძყროს, იგრძნოს, იცნოს, მოასწროს, ჩაფლოს...) -ა-სუფიქსიან ვარიანტებთან შედარებით (შეიძყროს, იგრძნოს, იცნოს, დაესწროს, ჩაფლას...).

II. ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონები¹¹ პარალელურ კანონზომიერ ფორმებად წარმოგვიდგენს დებს ზმნის ნამყო ძირითადის სუბიექტურ მესამე პირში დადგას||დადო ფორმებს; რაც, ჩვენი აზრით, დავის არ იშვევს. ჩამდენადც ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის ჩვენებას ანგარიში ეწევა II კავშირებითის პარალელურ ფორმათა ინალიზისას, დადგას||დადოს ფორმებიც თანაბარუფლებიანად, კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ.

III. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სუბიექტური მესამე პირის ფორმებს პარალელურად, -ა და -ო სუფიქსებით, იწარმოებს შემდეგი ზმნები: დარგა||დარგო, მოჩწყა||მოჩწყო, მოუზღა||მოუზღო, დაართა||დაართო¹². ამათ რიგში უნდა ჩადგეს: მომკა||მომკო, განერთხა||განერთხო, დამწყხა||დამწყხო, დაუხშა||დაუხშო, დაისრჩვა||დაისრჩხო, ჩაასვა||ჩაასო... სუბიექტურ მესამე პირში პარალელურ ფორმათა არსებობის ახსნა -ა და -ო სუფიქსთა თავისუფალი მონაცემებით გავიიღება. დარგა და დარგო სხვადასხვა პარადიგმის წევრებია (ისევე, როგორც შეიძყრა||შეიძყრო):

დავრგი||დავრგი
დარგი||დარგი
დარგა||დარგო

სამწერლო ენში ყველა ფორმა დასტურდება:

მე გადმოვრგი მიწაზე ყვავილი (შ. ლომთ).

უკრანაში გადარგი ლექსი და მოაშენე ქართული ბალი (ს. ჩიქ.).

მოილან გადმოვრგი ნაზი სუმბული (ს. ჩიქ.).

11 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. ტ. 1—3, თბ., 1950—1964; ვ. თოფურია, ი. გიგ ნეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968.

12 ა. შინიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძლები, თბ., 1973, გვ. 430; ა. თნავანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგის საკითხები. თბ., 1978, გვ. 60.

8. ქართული სიტკის კულტურის საკითხები

კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე (ილია).

ვაზი გად მორგა (ქველ).

ერთხელ ბავშვების გამას სურდა შეფერხენა ვარდის პატარა ჩირგვები, რომლებიც დარგო ამასწინათ თავის ბალჩაში (ი. გოგ).

სუბიექტური მესამე პირის -ა და -ო სუფიქსიანი ფორმები სამ-წერლო ენაში თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება, ეს ფაქტი ქარ-თული ენის განმარტებით ლექსიკონშიც იჩენს თავს: ოგ ძირის შემ-ცველ ზმნებთან ნამყო ძირითადის ფორმები წარმოდგენილია რო-გორც -ა, ისევე -ო სუფიქსით (დარგა, გადარგა, მიარგა, გადმორგა, შემორგა, გადაურგა — შემოარგო, ჩარგო, წარგო, შერგო, დაურგო, წაურგო); მღვმარეობა თითქმის ასეთივეა ამ ტიპის სხვა ზმნათა შემ-თხვევაშიც (აწყა, დაწყა, აუწყა, მიიწყა, მაგრამ აიწყო, ამოწყო, გა-მოუწყო... მორწყა, დარწყა, ამორწყა, მაგრამ არწყო, მორწყო... მომ-კა, გადამკა, მაგრამ დამკო, მოიმკო, მოუმკო...). ყოველიც ეს გვაფიქტურებინებს, რომ, დადგა||დადო ფორმათა მსგავსად, დარგა||დარგო, მომკა||მომკო თანაბარუფლებიანი, კანონზომიერი ფორმებია. შესაბამისად, თანაბარუფლებიან, კანონზომიერ ფორმებად უნდა მი-ვიჩინოთ ამ ტიპის ზმნათა II კივშირებითის ფორმებიც: დარგას||დარ-გოს, მორწყას-||მორწყოს, მიუჭდას||მიუჭდოს, დაართას||დაართოს, მოიმკას||მოიმკოს, განერთხას||განერთხოს, დამწყსას||დამწყსოს, დაუხ-შას||დაუხშოს, ჩაახებას||ჩაახოს...

იმის ნათელსაყოფად, რომ მეორე კაეშირებითის პარალელურ (-ა და -ო-სუფიქსიან ფორმათა გაჩენისა და, შესაბამისად, პარალე-ლურ ფორმათაგან ერთ-ერთსათვის უპირატესობის მინიჭებისას ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის ფორმათა ჩვენებას ისებითი მნიშვნელობა აქვს, ერთი ფაქტის მოხმობა შეიძლება:

დასტურდება ნამყო ძირითადის I და II პირის ფორმათა პარა-ლელური წარმოება: ვამაქერ||ვამაქერ, მივაგენ||მივაგენ, ვავიძერ||ვა-ვიძერ, შევიძელ||შევიძლე:

მომკალ, გამაქერ (ილია).

აქ ჩე, აქ ჩე სანთლი, მე მაინც ივანთებ მის (პ. ლომით).

ბოლოს მივაგენით, მაგრამ ლილს აქეო კი ვდევთ (პ. გაკ.).

ეერ შევიგნე, რა სისულელ ჩავიღინე (ს. კომ.).

გავიძერ ხანჯალი (ილია).

დამბაჩაც გავიძერ (ილია).

დაგურებდი, ვეღარ გავიძელ, ლოყით კოცნა მე მოგპარე (ილია).

ვაიძე, შეილო, თუ მშერმა, მწყურვალმა და ხელმეორედ დაობლებულმა... ვეღარ გასძლე და დამძლებელი (დკ. გაბ.).

ყველა შემთხვევაში გვაქვს ნამყო ძირითადის პარალელური წარ-მოება (-ე- სუფიქსიანი და უნიშნო — resp. -ი- ელემენტიანი), მაგ-

რამ, რამდენადაც სუბიექტურ მესამე პირში მხოლოდ -ო-სუფიქსიანი ფორმები დასტურდება (გააქრა, გაიძრა, მიაგნა, გაძლა არა ზუნებრივი, ჩვეულებრივია გააქრო, გაიძრო, მიაგნო, გაძლო...), ამ ზმნათა II კავშირებითშიც გამორიცხულია პარალელიზმი: მხოლოდ -ო სუფიქსიანი წარმოება გვაქვს: გააქროს, გაიძროს, მიაგნოს, გაძლოს...

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნის გაცემება შეიძლება: მეორე კავშირებითში -ა და -ო სუფიქსებით პარალელურ ფორმითა არსებობის საფუძველი ნამყობრითითაღის პარალელური წარმოებაა. პარალელურ ფორმათაგან II კავშირებითის -ო-სუფიქსიანი ვარიანტები ნამყობრითითაღის სუბიექტური მესამე პირის -ო-სუფიქსიან ფორმათა შესაბამისია. აქედან გამომდინარე, II კავშირებითის პარალელურ წარმოებაში -ო-სუფიქსიან ვარიანტებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა -ა-სუფიქსიანთან შედარებით, თუ ნამყობრითითაღის სუბიექტურ მესამე პირში -ო სუფიქსიანი ვარიანტებია მიართებული. ნამყობრითითაღის სუბიექტური მესამე პირის -ა-და -ო-სუფიქსიან ფორმათა თანაბარუფლებიანობა II კავშირებითის პარალელურ ფორმათა თანაბარუფლებიანობის საფუძველი უნდა მივიჩნიოთ.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც II კავშირებითში -ო სუფიქსი გვაქვს და შესაბამისი ნამყობრითიანი ფორმაში -ე სუფიქსი არ დასტურდება, არის ყოს ზმნა. თუ ამ ფორმაში -ო კავშირებითის მაწარმოებელია და მისი გამოყოფა საერთოდ შესაძლებელია, ისევე, როგორც ნამყობრითიანი ფორმის (ყოს) ბოლოვიდური ო-სი¹³, მაშინ შეფარდება — ნამყობრითის -ე: II კავშირებითის -ო — უგამონაკლისო არ იქნება. როგორც ჩანს, ამ გამონაკლისის თავიდან აშორების ცდაა ენაში -ე სუფიქსიანი ფორმების გაჩენა: ვიყვა — იყვა — იყვას, რაც სამწერლო ენაშიც იჩენს თავს:

შერცხვენილი ვიყვა, თუ სანაქებოდ არ მოვულხინო (დ. კლდ.).

¹³ ბ. ჯორგენიშვილი, ფორმანტთა სემანტიკური ინფორმატიულობის საფრთხისათვის ქართულში: ნარკევები იმერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980, გვ. 82.

განა არ გინდა, რომ შენი შრომა უფრო ნაყოფიერი და ვრცელი იყვეს?
(ეპ. გაბ.).

სული მორჩილი ნეტარია, ოლონდ იქ ვიყვათ (ო. ჩხ.).

ამგვარ ფორმათა უმართებულობას და, შესაბამისად, იყოს ფორ-
მის მართებულობას ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის იყო
ფორმაც ედასტურებს: სუბიექტური მესამე პირის -თ სუფიქსიანი
წარმოების შესაბამისი მხოლოდ -თ სუფიქსიანი II კავშირებითია.
